ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №262/01/19

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „როინი დევნოზაშვილი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი როინი დევნოზაშვილის სახით ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების მომსახურება** (CVP 22100000).

2.1.1. სოფელ ქვემო ბოლნისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (5611 კვ.მ) (ს.კ. 80,08,61,043) ცვლილების რეგისტრაციისთვის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება.

2.1.2. სოფელ ბერთაკარში ს.კ. 80,10,61,029 მომიჯნავედ, დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება.

2.1.3. ქ. ბოლნისში, ს.ს. ორბელიანის ქ. N113-ში მდებარე (ს.კ.80,06,67,083) და სს ორბელიანის ქ. N115-ში მდებარე (ს.კ.80,06,67,205) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ცვლილების რეგისტრაციისთვის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **640 (ექვსას ორმოცი)** ლარს.

3.1.1. სოფელ ქვემო ბოლნისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (5611 კვ.მ) (ს.კ. 80,08,61,043) ცვლილების რეგისტრაციისთვის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება - 400 ლარი;

3.1.2. სოფელ ბერთაკარში ს.კ. 80,10,61,029 მომიჯნავედ, დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება - 80 ლარი;

3.1.3. ქ. ბოლნისში, ს.ს. ორბელიანის ქ. N113-ში მდებარე (ს.კ.80,06,67,083) და სს ორბელიანის ქ. N115-ში მდებარე (ს.კ.80,06,67,205) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ცვლილების რეგისტრაციისთვის შესაბამისი საკადასტრო აზომვითი ნახაზის დამზადების მომსახურება -160 ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი თამარ ჩაკვეტაძე,

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. გასაწევი მომსახურების ადგილი - ხელშეკრულების 2,1 პუნქტში მითითებული ობიექტები.

6.2. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2019 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია** გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით (ა) ორთოფოტოები; ბ) აზომვითი ნახაზები – როგორც ქაღალდის ისე ელექტრონული ვერსია). იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სახელმწიფო ხაზინა; ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

David Sherazadishvili
Digitally signed by David Sherazadishvili
Date: 2019.10.31 16:34:55 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შერაზადიშვილი

„მიმწოდებელი“
ი/მ "როინი დევნოზაშვილი"
ქ. ბოლნისი, იაკობ ხუცესის ქ. N21
ს/კ 10001021209
სს „ლიბერთი ბანკი“
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE39LB0112171215196000

Roini Devnozashvili
Digitally signed by Roini Devnozashvili
Date: 2019.10.31 13:59:51 +04'00'

როინი დევნოზაშვილი

N 9185-11
17/10/2019

9185-11-3-201910171013

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დავით შერაზადიშვილს**
ეკონომიკის სამსახურის უფროსის
გიზო კორტავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სოფ. ქვ. ბოლნისში მდებარეობს 5611.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 80.08.61.043).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებათა რეესტრში განსახორციელებელია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია. აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა მომზადდეს საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზი.

დასახელებული მომსახურების გაწევის მიზნით, უნდა დაიდოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გიზო კორტავა

სამსახურის უფროსი

ეკონომიკის სამსახური

N 9324-11
23/10/2019

9324-11-3-201910231535

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დავით შერაზადიშვილს**
ეკონომიკის სამსახურის უფროსის
გიზო კორტავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სოფ. ბერთაკარში, ს.კ. 80.10.61.029 მომიჯნავედ, დაურეგისტრირებელ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე იგეგმება რიტუალების სახლის მშენებლობა.

დასახელებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული მომსახურების გაწევის მიზნით, უნდა დაიდოს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გიზო კორტავა

სამსახურის უფროსი

ეკონომიკის სამსახური

N 9405-11
29/10/2019

9405-11-3-201910290923

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დავით შერაზადიშვილს**
ეკონომიკის სამსახურის უფროსის
გიზო კორტავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ქალაქ ბოლნისში ს.ს. ორბელიანის ქ.N113-ში მდებარეობს 1006 კვ.მ. (ს.კ. 80.06.67.083) და ს.ს. ორბელიანის ქ.N115-ში მდებარეობს 537 კვ.მ. (ს.კ. 80.06.67.205) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებათა რეესტრში განსახორციელებელია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაცია.

აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა მომზადდეს საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზი.

დასახელებული მომსახურების გაწევის მიზნით, უნდა დაიდოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

გთხოვთ, თქვენს შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

გიზო კორტავა

სამსახურის უფროსი

ეკონომიკის სამსახური